

ქ.თბილისი

29.12.2010

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;
4. ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
5. რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
6. ლალი ლოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
7. დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;
8. ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
9. რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
10. ეკატერინე ჩინჩალაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსი;

11. დავით მახვილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
12. ნათია ვაჭარაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსი;
13. ზ. ლომსაძე - შპს - ე.პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „ინტერველდის“ იურისტი;
14. ა. ბოჭორიშვილი - შპს - ე.პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „ინტერველდის“ დირექტორის მოადგილე;
15. გიორგი ნიკოლაძე - შპს - პროფიუნტის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
16. ალექსანდრე ჯიბლაძე - შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
17. ნიკოლოზ მესხიშვილი - შპს - უნივერსიტეტ „მეტეხის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
18. ეკატერინე გოგორიშვილი - შპს - უნივერსიტეტ „მეტეხის“ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
19. ქეთევან არჩია - შპს - უნივერსიტეტ „მეტეხის“ ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის დეკანი;
20. ნანი დალაქიშვილი -სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტი;
21. მაია ხურცილავა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
22. დევი ხვედელიანი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
23. ქეთევან ინანაშვილი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
24. დავით ჭეიშვილი - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:35 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

იმის გამო, რომ სხდომას არ ესწრებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივანი, გაიანე სიმონია, საბჭოს თავმჯდომარემ მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრს, ანა კლდიაშვილს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - ე.პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „ინტერველდის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - „პროფიუნიტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - უნივერსიტეტ „მეტეხის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის და შპს - „პროფიუნიტის“ წარმომადგენლების შუამდგომლობების საფუძველზე დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - „პროფიუნიტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ე.პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „ინტერველდის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - უნივერსიტეტ „მეტეხის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

## 1. შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. საბჭოს თავმჯდომარეს შუამდგომლობით მიმართა შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა, ალექსანდრე ჯიბლაძემ, რომლის მიხედვითაც დაწესებულების წარმომადგენლები გაეცნენ შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივ კოლეჯში ვიზიტად მყოფი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და მასში დაფიქსირებულ შენიშვნებს. დირექტორმა მოითხოვა შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

II. დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის გათვალისწინებით, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

III. გადაწყვეტილება:

შეწყდეს შპს - სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

## 2. შპს - „პროფიუნიტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

I. საბჭოს თავმჯდომარეს შუამდგომლობით მიმართა შპს - პროფიუნიტის დირექტორის მოადგილემ, გიორგი ნიკოლაძემ. დაწესებულების განმარტებით, წარმომადგენლები გაეცნენ შპს - „პროფიუნიტში“ ვიზიტად მყოფი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და მასში დაფიქსირებულ შენიშვნებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების წარმომადგენელმა დირექტორმა მოითხოვა შპს - „პროფიუნიტის“ საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

საბჭოს თავმჯდომარემ დირექტორის მოადგილეს კითხვა დაუსვა იყო თუ არა უფლებამოსილი ესაუბრა შპს - პროფიუნიტის სახელით. გიორგი ნიკოლაძის განმარტებით შპს - პროფიუნიტის დირექტორის, აკაკი გურჯიძის მინდობილობის საფუძველზე იგი უფლებამოსილი იყო საგანანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე წარმოდგინა და ესაუბრა შპს - პროფიუნიტის სახელით.

საბჭოს თავმჯდომარემ დირექტორის მოადგილეს სთხოვა ცენტრში წარედგინა აღნიშნული მინდობილობა.

II. თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „პროფიუნიტის“ საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

III. გადაწყვეტილება:

შეწყდეს შპს - „პროფიუნიტის“ საავტორიზაციო განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.



**3. შპს - ე. პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „ინტერველდის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

## **I. განხორციელებული პროცედურა**

შპს - ე. პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა „ინტერველდმა“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2010 წლის 17 ნოემბერს ცენტრს მიმართა №1/3-16 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-4589) და თანდართული დოკუმენტაციით. ცენტრის 2010 წლის 22 ნოემბრის №04-5402 წერილით დადგინდა ხარვეზი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან შეუსაბამობის გამო.

2010 წლის 24 ნოემბერს ცენტრში შემოსული დაწესებულების №1/3-17 წერილითა და თანდართული დოკუმენტაციით ხარვეზი გამოსწორდა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: დევი ხვედელიანი, მაია ხურცილავა, ნანი დალაქიშვილი) და შემოწმდა ავტორიზაციის მაძიებლის პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში სრულად ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

## **II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები**

### **1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ



სტუდენტთა შეფასების სისტემა შეესაბამება დადგენილ რეკომენდაციებს. წარმოდგენილია სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგნის სილაბუსი, სილაბუსში მითითებული კრედიტ-საათების რაოდენობა შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულს.

1.1.4 დასკვნის მიხედვით, არ არის წარმოდგენილი სასწავლო პრაქტიკის დეტალური გეგმა, სადაც ასახული იქნება სასწავლო პრაქტიკისთვის გამოყოფილი კრედიტ-საათების (I საფეხური - 3 კრედიტი (69 საათი), II- 2 კრედიტი (44 საათი) და III – 2 კრედიტი (44 საათი)) ათვისება.

**ზეპირ მოსმენაზე,** დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობდა ორი გრაფა - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისთვის. აღნიშნული სამი კრედიტი განთავსებული იყო სწორედ სასწავლო პრაქტიკის გრაფაში. შინაარსთან და დეტალურ გეგმასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგნად წარმოდგენილი იყო სასწავლო პრაქტიკა, თუმცა, რეალურად სასწავლო პრაქტიკა საგანს არ წარმოადგენდა, არამედ იყო სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, ელექტრორკალური შედეგების ტექნოლოგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. შესაბამისად, პრაქტიკის შენაარსზე მსჯელობა აღნიშნული საგნის სილაბუსში მოცემული ინფორმაციის მიხედვით უნდა წარმართულიყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ანოტაციაში მითითებული არ იყო, რომ სასწავლო პრაქტიკა წარმოადგენდა აღნიშნული საგნის შემადგენელ ნაწილს. თუმცა, რადგან საგანი უმთავრესად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე იყო ორიენტირებული, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ სასწავლო პრაქტიკა მის ნაწილს წარმოადგენდა.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული საკითხი შენიშვნის სახით დაფიქსირდა, რადგან სასწავლო პრაქტიკა საგანთა ჩამონათვალში ცალკე იყო მითითებული და ჯგუფმა ჩათვალა, რომ სილაბუსის არსებობა საჭირო იყო. აგრეთვე ვერ დგინდებოდა თუ როგორ ხდებოდა მითითებული 3 კრედიტის დაგროვება. ნანი დალაქიშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო სასწავლო პრაქტიკის 3 კრედიტი რომელიმე საგნის შიგნით ყოფილიყო მოაზრებული, თუმცა, უმჯობესი იქნებოდა თუ ამაზე მითითება იარსებებდა.

საბჭოს წევრის, ლალი ლოღელიანის, განმარტებით არსებული მდგომარეობით საქმე არ ფუჭდებოდა, რადგან საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება ნებისმიერ შეთხვევაში მოხდებოდა, რამდენადაც საუბარი იყო ძირითადი საგნის შემადგენელ ნაწილზე და არა არჩევით საგანზე. უკეთესი იქნებოდა



რომ სასწავლო პრაქტიკა საგანთა ჩამონათვალში არ ყოფილიყო, თუმცა, მიზნის მიღწევას ეს ხელს არ შეუშლიდა.

1.1.5 დასკვნის მიხედვით, შპს „ე. პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „ინტერველდის“ მიერ წარმოდგენილი იქნა ყველა საგნის სილაბუსი. სილაბუსის ფორმა შეესაბამება არსებულ რეკომენდაციებს.

1.1.6 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულებას აქვს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ელექტრორკალური შედუღების სპეციალისტის პირველი საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	პირველი	პირველი საფეხურის ელექტრორკალური შედუღების სპეციალისტი	30 კრედიტი
2	ელექტრორკალური შედუღების სპეციალისტის მეორე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	მეორე	მეორე საფეხურის ელექტრორკალური შედუღების სპეციალისტი	20 კრედიტი
3	ელექტრორკალური შედუღების სპეციალისტის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	მესამე	მესამე საფეხურის ელექტრორკალური შედუღების სპეციალისტი	20 კრედიტი

## **1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ“.

### **2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, რაც დასტურდება „ე. პატონის სახელობის შედულებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „ინტერველდის“ დირექტორის მიერ 2010 წლის 1 ნოემბრის ბრძანება № 7 -ით.

## **2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს“.

### **3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანებით დამტკიცებულ კლასიფიკატორში მითითებულია პროფესია/სპეციალიზაცია შემდუღებელი, მაშინ როდესაც წარმოდგენილ პროგრამებში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებულია ელექტრორკალური შედუღების სპეციალისტი. ავტორიზაციის პრეტენდენტთა სიტყვიერი განმარტებით აღნიშნული კვალიფიკაცია წარმოადგენს შემდუღებლის კვალიფიკაციის I-III საფეხურის შესაბამის კვალიფიკაციას.

**ზეპირ მოსმენაზე**, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შემდუღებელი იყო ზოგადი ცნება და მოიცავდა ელექტრორკალური შედუღების სპეციალისტს. რამდენადაც საუბარი იყო მხოლოდ I-III საფეხურზე, დაწესებულებას მიზანშეწო ნილად მიაჩნდა კვალიფიკაცია ვიწრო სპეციალიზაციით მინიჭებოდა. ზურაბ ლომსაძემ აგრეთვე განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს პროფესიული სტანდარტი დამუშავების პროცესში იყო და ექსპერტთა დასკვნა იმ დროს არსებული მონაცემების საფუძველზე შედგა, თუმცა, მოგვიანებით სტანდარტზე მომუშავე ჯგუფმა გადაწყვეტილება მიიღო, რომ ზოგადი კვალიფიკაცია - „შემდუღებელი“ დარჩენილიყო მხოლოდ IV და V საფეხურთან მიმართებით, ხოლო I-III საფეხურზე უფრო ვიწრო სპეციალიზაცია მომხდარიყო.

საბჭომ გამოარკვია, რომ დაწესებულების წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განმარტება სიმართლეს შეესაბამებოდა და დაადგინა, რომ დაწესებულების მიერ სტანდარტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან დაწესებულების პროგრამა შესაბამისობაში იყო პროფესიული სტანდარტის მოქმედ რედაქციასთან.

### **3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები“.

### **4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების

ალიარების წესები. აგრეთვე, სტუდენტის სწავლის შედეგების შესაფასებელი ტესტები, საგამოცდო ბილეთები და შემდუღებელთა ატესტაციის წესები. რაც დასტურდება შპს - „ე. პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „ინტერველდის“ დირექტორის მიერ 2010 წლის 3 ნოემბრის №8 ბრძანებით და 2010 წლის 5 ნოემბრის №9 ბრძანებით.

#### **4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

#### **5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები“.

#### **5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც დასტურდება შპს „ე. პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „ინტერველდის“ დირექტორის მიერ 2010 წლის 3 ნოემბრის №8 ბრძანებით.

#### **5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

#### **6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის

განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად”.

### **6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, თუმცა დანერგილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ევროპის შემდუღებელთა ფედერაციასთან, დამსაქმებლებთან და საქართველოს შემდუღებელთა ასოციაციასთან მუდმივი კონსულტაციების პრაქტიკა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ზემოაღნიშნული დასტურდება ოთხმხრივი ხელშეკრულებით და შესაბამისი წერილით.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ გამოარკვია, რომ დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტი არ დარღვეულა, რადგან რეალურად ხდებოდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება.

### **6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი**

### **1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტის დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი”.

## 1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პრეტენდენტის ფართი განთავსებულია ორ მისამართზე:

- ქ. თბილისი დოლიძის ქ. №7-ში მდებარე ფართი წარმოადგენს საცხოვრებელი ბინის ნაწილს, სადაც საერთო სარგებლობაშია 12 კვ.მ. (ჰოლი და სველი წერტილები), ხოლო 44 კვ.მ. განკუთვნილია სალექციო აუდიტორიისთვის.
- ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 69-ში სსიპ - სტუ-სთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმად პრეტენდენტს პროგრამის შესაბამისი და პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო შპს „ინტერველდის“ კუთვნილი მანქანა-დანადგარები, სტენდები და ხელსაწყოები განთავსებული აქვს საერთო სარგებლობის ფართში.

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით არის:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №7	56კვ.მ
2	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №69	46,7 კვ.მ

**ზეპირ მოსმენაზე**, თავმჯდომარემ სხდომაზე გამოარკვია, რომ დაწესებულება სარგებლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში კოსტავას ქ. №69-ში მდებარე შენობის ნაწილით. გამოირკვა, რომ აღნიშნული ფართი წარმოადგენდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებას და შპს - ე. პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „ინტერველდს“ ფართის სარგებლობის უფლება სამართლებრივად გაფორმებული არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ფართზე განთავსებული ძვირადღირებული ინვენტარი ავტორიზაციის მამიებლის საკუთრებას წარმოადგენდა, ეს არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ თავად ფართი დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ფართად ჩათვლილიყო. ამასთან თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ შეიძლება კერძო სამართლის იურიდიულ პირს ესარგებლა საჯარო სამართლის იურიდიული პირის იმ შენობით, რომელიც სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება. თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ ეს არ იყო ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი, არამედ



სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისას აღნიშნული ფართი არ იქნებოდა გათვალისწინებული საბჭოს მიერ.

1.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, სასწავლო ინვენტარით აღჭურვილია:

- ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №7-ში მდებარე ფართი, სადაც არსებობს სალექციო აუდიტორია 44 კვ.მ, რომელიც აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით.
- ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №69-ში მდებარე ფართი, სადაც არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პრაქტიკული მეცადინეობის ოთახი 46,7 კვ.მ. შესაბამისი ინვენტარით.

## **1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები“.

### **2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით:

- თბილისი, დოლიძის ქ. №7-ში არსებობს ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილი, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.
- თბილისი, კოსტავას ქ. №69-ში არსებობს ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

### **2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას“.

### **3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, წარმოდგენილია სასწავლო ლიტერატურა, რომლის შესაბამისი ჩამონათვალი (22 დასახელება) დამტკიცებულია 2010 წლის 1 ნოემბრის №4 ბრძანებით. დანართში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. ამასთანავე, ბიბლიოთეკა როგორც ასეთი, არ არსებობს.

**ზეპირ მოსმენაზე**, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში სილაბუსების შესაბამისი ლიტერატურა რეალურად არსებობდა, უბრალოდ ცალკე არ იყო გამოყოფილი ადგილი, რომელსაც ბიბლიოთეკას დაარქმევდნენ.

ექსპერტმა, დევი ხვედელიანმა, აღნიშნა, რომ წიგნები სათანადო წესით არ იყო აღრიცხული. ლიტერატურა დამოწმებული არ იყო ბეჭდით და არც ჟურნალი იწარმოებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მართალია ლიტერატურაზე ბეჭედი არ იყო დასმული, თუმცა წიგნები აღრიცხული იყო, კარტოთეკა უკვე არსებობდა.

საბჭომ გამოარკვია, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა დაწესებულებაში რეალურად არსებობდა.

### **3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „დ“

ქვეპუნქტის თანახმად, „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში“.

#### **4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, წარმოდგენილია კომპიუტერის სამი სრული კომპლექტი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მართვაში.

ზემოაღნიშნული დასტურდება დოკუმენტალურად (სასაქონლო ზედნადებები) და ვიზუალური დათვალიერებით.

#### **4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

### **5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

#### **5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, წარმოდგენილია გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ერთიანი ზონარგაყრილი და დანომრილი ჟურნალი.

#### **5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

### **6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

- ვ.ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვ.დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.”.

## **6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

6.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით:

ქ. თბილისში, კოსტავას ქ.№69-ში არსებულ სასწავლო ფართზე არსებობს:

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მარტივი საშუალებები.

6.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, კოსტავას ქ.№69-ში არსებულ სასწავლო ფართზე არ არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

6.1.3 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, დოლიძის ქ. №7-ში არსებულ სასწავლო ფართზე არ არსებობს პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

## **6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა დაუსაბუთებელია. კერძოდ, თუ დაწესებულებას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ბუნებრივია არსებობს მისი გამოყენების მექანიზმიც, მითუმეტეს დაწესებულებაში არსებობს თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა. ავტორიზაციის მიზნებისათვის ცალკე აქტის გამოცემა, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობათა გამოყენების მექანიზმი, მოთხოვნილი არაა, ხოლო თავად მოწყობილობას, როგორც წესი თან ერთვის გამოყენების ინსტრუქცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ დაწესებულების შენობა არ არის ავარიული და ის უქმნის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობას საფრთხეს, იგულისხმება, რომ არსებობს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მექანიზმები. გარდა ამისა,

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის“.

### **7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება გადასატანი პანდუსის არსებობა.

### **7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი“.

### **8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, არსებობს ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია დაწესებულების სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, კვალიფიკაციის აღიარების წესის შესახებ, დანარჩენი დამუშავების პროცესში.

ზემოაღნიშნული დასტურდება ვებ-გვერდის - [www.interweld.ge](http://www.interweld.ge) - ვიზუალური დათვალიერებით.

### **8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

### **9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სადაც ზოგადაა აღწერილი სამომავლო პერსპექტივები, რაც დასტურდება ვიზიტის დროს წარმოდგენილი 2010 წლის 7 ნოემბრის №10 ბრძანებით.

### **9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი**

### **1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს“.

### **1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, რაც დასტურდება ვიზიტის დროს წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებებით.

### **1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.



## **2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი მასწავლებელი“.

### **2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

2.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროგრამებს თან ახლავს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების თაობაზე, საიდანაც დასტურდება, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებას ახორციელებს 2 მაგისტრი და 3 აკადემიური დოქტორი.

2.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ვიზიტის დროს შპს „ინტერველდს“ არ ყავს სტუდენტები, თუმცა წარმოდგენილ იქნა 26 პოტენციური სტუდენტის პირადობის ბარათი.

### **2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

### **3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის

აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც დასტურდება შპს - „ინტერველდის“ დირექტორის 2010 წლის №1 ბრძანებით.

### **3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა 5 წუთიანი შესვენება.

### **IV. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო შპს - ე. პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „ინტერველდის“ თვითშეფასების კითხვარის, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭომ იხელმძღვანელა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით. საბჭომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ამ გარემოებების შეფასების საფუძველზე დაადგინა შემდეგი:

ა) დაწესებულების მხრიდან დარღვეული არ არის ავტორიზაციის არც ერთი სტანდარტი. მართალია ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, თუმცა, აღნიშნული ნორმის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ავტორიზაციის გადაწყვეტილება ამ პირობის არ არსებობის შემთხვევაშიც თუ განიხილება 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებკონტინგენტის დაწესებულების ავტორიზაციის საკითხი;

ბ) საბჭო პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისას არ გაითვალისწინებს ქალაქ თბილისში, კოსტავას ქ. №69-ში მდებარე შენობის ფართს, რამდენადაც სამართლებრივად დაწესებულება აღნიშნული ფართს არ ფლობს. შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება მხოლოდ ქალაქ თბილისში, დოლიძის ქ. № 7-ში მდებარე ფართის გათვალისწინებით;

გ) ავტორიზაციის დებულების 36-ე მუხლის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა დადგინდება შემდეგი მონაცემების ჯამის შესაბამისად: დაწესებულების საერთო ფართი შეფარდებული 4-თან; მასწავლებელთა რაოდენობა გამრავლებული 8-ზე, მაგრამ არა უმეტეს 400-ისა.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ე.პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „ინტერველდისათვის“ ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 54-ით განსაზღვრის საკითხი.

მომხრე: 7

მოწინააღმდეგე: 0

## VI. გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - ე. პატონის სახელობის შედუღებისა და მონათესავე ტექნოლოგიების საქართველოსა და უკრაინის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „ინტერველდს“ მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული კოლეჯი) სტატუსი და განესაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 54-ით.

## 4. შპს - თბილისის უნივერსიტეტი „მეტეხის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

### I. განხორციელებული პროცედურა

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის თანამშრომელს რევაზ ხოფერიას სთხოვა საავტორიზაციო ვიზიტთან დაკავშირებით მოხსენების გაკეთება. რევაზ ხოფერიამ დამსწრე პირებს გააცნო, რომ შპს თბილისის უნივერსიტეტი „მეტეხმა“, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, 2010 წლის 15 ნოემბერს მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით და თანდართული დოკუმენტაციით (წერილი №51, ცენტრში რეგისტრაციის №03-4549).

ცენტრის მიერ 2010 წლის 18 ნოემბერს №04-5285 წერილით დადგინდა ხარვეზი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შეუსაბამობის გამო. 2010 წლის 19 ნოემბერს ცენტრში შემოსული №52 (ცენტრში რეგისტრაციის №03-4631) წერილისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად, დადგენილი ხარვეზი გამოსწორდა დაწესებულების მიერ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად და მისი ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორცილდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (ჯგუფის წევრები: დავით ჭიეშვილი, ქეთი ინანაშვილი, დავით მახვილამე), შემოწმდა ავტორიზაციის მაძიებლის პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. ავტორიზაციის მაძიებელმა დაწესებულებამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2010 წლის 20 დეკემბერს წარადგინა წერილი (რეგისტრაციის №03-5362), რომლის მიხედვითაც ცენტრს ეცნობა, რომ ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების დოკუმენტაცია (კონკრეტულად მითითებულია შესაბამის მტკიცებულებაში) ამოღებულია შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებამ 2010 წლის 28 დეკემბერს წარმოადგინა წერილი (რეგისტრაციის №03-5662), რომლის მიხედვითაც დაწესებულებამ დააფიქსირა შენიშვნები ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, დავით მახვილამემ, დეტალურად გააცნო საბჭოს წევრებს დასკვნაში აღნიშნული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც არსებობდა შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ოქმში სრულად ასახვის მიზნით ითხოვა სხდომის მდივნისათვის გადაეცათ ექსპერტთა დასკვნის ასლი.

## **II. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - საგანმანათლებლო პროგრამები**

### **1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)”.

### **1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები:**

1.1.1 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ავტორიზაციის მაძიებლის საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია ECTS სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები წარმოდგენილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების სახით, მოცემულია სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები და სხვ. საბაკალავრო დონეზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული დანართის მოთხოვნებს. კურიკულუმებს თან ერთვის შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები.

1.1.2 ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, პროგრამების ერთი ნაწილი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 04.06.2010 წ. ოქმი №2, მეორე ნაწილი - დაწესებულების რექტორის მიერ, ბრძანება №67 (თარიღი პროგრამებში არ არის მითითებული).

1.1.3 დასკვნის მიხედვით, ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა ექსპერტებს წარუდგინა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 25.06.2010 წ. №90 ბრძანებით. დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა დაწესებულებებთან.

1.1.4 დასკვნის მიხედვით, რექტორის 2010 წლის 01 ნოემბრის №რ-14 ბრძანებით დამტკიცებულია შპს - თბილისის უნივერსიტეტი „მეტეხი“-ს დებულება, რომლის 45-ე მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნულია: „დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე აკრედიტებულ რეჟიმში შეიძლება ჩაირიცხოს მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში“.

ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება დაწესებულების პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას და ასევე 2010 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის რედაქციას.

1.1.5 დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი ზოგიერთი სასწავლო კურსის ხანგძლივობა აღემატება 1 სემესტრს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს. ასეთი სილაბუსებია, მაგალითად, „ქირურგიული სტომატოლოგია“ (IV-X სემესტრი - 29 კრედიტი), „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი“ (I-VII სემესტრი - 65 კრედიტი), „უცხო ენა (ინგლისური ენა)“ (I-IV სემესტრი - 17 კრედიტი), „ფარმაცევტული ქიმია“ (V-VIII სემესტრი - 16 კრედიტი). თითოეული სასწავლო კურსისთვის არსებობს მხოლოდ ერთი სილაბუსი.

1.1.6 დასკვნის მიხედვით, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში, კურსზე დაშვების წინაპირობის გრაფაში მოცემულია მხოლოდ სწავლების სემესტრი, მაგალითად, „მედია მენეჯმენტი“ (მე-6 სემესტრი), „მედია სამართალი“ (მე-6 სემესტრი), „საქმიანი ინგლისური“ (მე-7 სემესტრი), „საფინანსო საბანკო მენეჯმენტი“ (მე-6 სემესტრი).

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, მიზანშეწონილია სასწავლო კურსის სილაბუსში აღნიშნოს დაშვების წინაპირობა.

**ზეპირ მოსმენაზე** საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული არ არის ხარვეზი, ვინაიდან რექტორმა დაამტკიცა სილაბუსის ფორმა, რომელშიც აღნიშნულია დაშვების წინაპირობები, ხოლო ლექტორმა ეს გრაფა არ შეავსო იმ მოტივით, რომ სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობა.

1.1.7 დასკვნის მიხედვით, ადვოკატურის სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგში ზოგადად არის განხილული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ მიღებული „ადვოკატთა სასწავლო ცენტრის დებულება“.

1.1.8 დასკვნის მიხედვით, მედია სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურაში მოცემულია სხვადასხვა თემების დასახელება, მაგ.: „სამართლის არსი, სამართლის ნორმა, ნორმის სახეები, ნორმის სტრუქტურა“ და ა.შ.



**ზეპირ მოსმენაზე**, საბჭოს თავმჯდომარემ დავით მახვილაძეს ჰკითხა, ხომ არ იყო ლიტერატურა სილაბუსის სხვა გრაფაში მითითებული.

დავით მახვილაძემ, მტკიცებულების სახით, წარმოადგინა სილაბუსი, რომლითაც დადასტურდა, რომ სილაბუსში სავალდებულო ან/და დამხმარე ლიტერატურა არ არის მითითებული.

1.1.9 დ ასკვნის მიხედვით, საგადასახადო და საბაჟო სამართლის სასწავლო კურსის მიზანი არის ზოგადი. სწავლის შედეგი ბუნდოვანია, არ შეიცავს საჭირო ინფორმაციას და არის საფინანსო სამართლის სილაბუსში მოცემული სწავლის შედეგის ანალოგიური.

1.1.10 იურიდიული ეთიკის სასწავლო კურსის მიზანია „ხელი შეიწყოს სტუდენტებს მაღალზნეობრივი, საქმიანი და ენერგიულ პიროვნებად ჩამოყალიბებას“, ხოლო შედეგი - „სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემების შესწავლით, სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევა დაეუფლონ იურიდიულ ეთიკას, ლიდერობის უნარს, მართვის პრინციპებს და საქმიან სამყაროში ხელმძღვანელობდნენ მაღალზნეობრივი ეთიკის ნორმებით“. ამავე სილაბუსის მე-6 თემის სახელწოდება არის „იურიდიული ეთიკა“ და მასში მოცემულია: „ეთიკის არსი, ბიზნესის ეთიკური კრიტერიუმები, საქმიანი ეთიკა, თანამედროვე ხელმძღვანელი - მმართველი, ლიდერი, ხელმძღვანელთა ტიპები, მაკიაველიზმის სტატუსი, საქმიანი ადამიანის 12 წესი, რჩევები საქმიან ადამიანებს, საქმიანი ადამიანის 10 მცნება. ბიზნესის აქსიომები“.

**ზეპირ მოსმენაზე**, ამ უკანასკნელ შენიშვნასთანა დაკავშირებით შპს - უნივერსიტეტ „მეტეხის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ სიტყვა „ბიზნესი“ გამოყენებულია, როგორც „საქმიანი“, რაც წინააღმდეგობაში არ მოდის საგნის შინაარსთან.

ზეპირ მოსმენაზე გაზიარებულ იქნა დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტი.

1.1.11 დასკვნის მიხედვით, სასჯელალსრულებითი სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგში დაფიქსირებულია შემდეგი: „კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნება და სტრუქტურა, კრიმინალური ფოტოგრაფიის საშუალებები და ხერხები, მისი გამოყენება დამნაშავეს ძებნისას, ტრასოლოგია და მისი გამოყენება დანაშაულის გახსნისა და გამოძიების პროცესში, დაქტილოსკოპია და მისი დანიშნულება“ და ა. შ.

**ზეპირ მოსმენაზე**, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კრიმინალისტიკა არ არის იურიდიული დისციპლინა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასწავლო კურსი ისწავლება სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ეს არის ქიმიის, ბალისტიკის, დაქტილოსკოპიის და სხვა მეცნიერებათა ფარგლებში შემუშავებული ცოდნის იურიდიული მიზნებით გამოყენების ფარგლებისა და შინაარსის თაობაზე ცოდნის ერთობლიობა, ხოლო სასჯელაღსრულებითი სამართალი, ეს არის იურიდიული სასწავლო კურსი. სასჯელაღსრულებით სამართალში არ შეიძლება ისწავლებოდეს კრიმინალისტიკის თემატიკა. აღნიშნული უდავო და ცალსახაა და აქ არ დგას სილაბუსის ავტორი პროფესორის აკადემიური თავისუფლების შეზღუდვის ან აკრედიტაციის თვალსაზრისით მსჯელობის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის ავტორიზაციის პროცესი და არა აკრედიტაციის პროცესი. შესაბამისად საკითხის შინაარსობრივი განხილვა არ უნდა მოხდეს.

საბჭოს თავმჯდომარე არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ავტორიზაციას მიკუთვნებულ საკითხს.

1.1.12 დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამაში („პროგრამის მოკლე აღწერა“) აღნიშნულია: „პროგრამა ითვალისწინებს თეორიული საფუძვლების შესწავლას, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევით ელემენტებს, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაციას, კონსერვაციას და ტრანსფორმაციას.“ ეს ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ”ნ“ ქვეპუნქტს, რომლის მიხედვითაც ბაკალავრიატი არის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისთვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლებისთვის.

**ზეპირ მოსმენაზე**, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარია საბაკალავრო პროგრამაზე. შესაბამისად, დაწესებულების დებულების მე-5 მუხლი ითვალისწინებს დამოუკიდებელი კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ასევე, გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი, რაშიც მოიაზრება კვლევითი ელემენტები.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კანონის ჩანაცვლება დაწესებულების დებულებით დაუშვებელია. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგი უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის გათვალისწინებით და შეესაბამებოდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მიხედვითაც

სამეცნიერო-კვლევითი ელემენტი არ არის გათვალისწინებული ბაკალავრიატის საფეხურზე. აღნიშნული გათვალისწინებულია მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურზე. ამასთან, საბაკალავრო ნაშრომი არ არის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი.

1.1.13 დასკვნის მიხედვით, საბანკო საქმის, აგრეთვე ბანკები და საბანკო ოპერაციების სასწავლო კურსების სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურა იდენტურია.

ზეპირ მოსმენაზე დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული საკითხზე მსჯელობა სცდება ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციას.

1.1.14 დასკვნის მიხედვით, საფინანსო საბანკო მენეჯმენტის სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს (მოცემულია 5 სახელმძღვანელო სტატისტიკის სფეროში), ხოლო დამხმარე ლიტერატურაში მითითებულია მენეჯმენტის სახელმძღვანელოები.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა ავტორიზაციის საბჭოს მიერ შეიძლება სადავო გახდეს საკითხის აკრედიტაციის თემასთან მიკუთვნადობის თვალსაზრისით, რის გამოც საბჭო თავს იკავებს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისაგან.

1.1.15 დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის „სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის“ პუნქტში მითითებულია, რომ „საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს ჯერ სამაგისტრო და შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე როგორც საქართველოში აკრედიტებულ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე საზღვარგარეთის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტზე“.

**ზეპირ მოსმენაზე**, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული წარმომადგენს ტექნიკურ ხარვეზს. ავტორიზაციის საბჭო აღნიშნავს, რომ ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოება არ შეიძლება იქნას მიჩნეული საგანმანათლებლო პროგრამის ხარვეზად, ვინაიდან არ ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს.

1.1.16 დასკვნის მიხედვით, „შედარებითი სისხლის სამართლის“ და „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესის“ სილაბუსები იდენტურია.

**ზეპირ მოსმენაზე**, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეიძლება სილაბუსები იყოს იდენტური, როგორც თემატიკით, ისე სახელმძღვანელოებით, მაგრამ ქეისები იყოს სხვადასხვა.

დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას არ დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე სასწავლო კურსების დუბლირების შემთხვევაში, მაღალ საფეხურზე შესაბამისი სასწავლო კურსი მიზნად უნდა ისახავდეს საკითხების სიღრმისეულად შესწავლას.

თუმცა, თუ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის 2 სხვადასხვა დისციპლინას აქვს იდენტური შინაარსი (ერთი და იგივე საკითხები მოცემულია 2 სხვადასხვა დისციპლინაში), ეს პრობლემაა.

1.1.17 დასკვნის მიხედვით, სამაგისტრო პროგრამის გრაფაში „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი“ მითითებულია პედაგოგები:

- ელდარ ახვლედიანი - სრული პროფესორი;
- თამარ ალფაიძე - ასოცირებული პროფესორი;
- ეკატერინე ქარდავა - ასოცირებული პროფესორი;
- ელენე გვენცაძე - მოწვეული პედაგოგი.

მათგან ეკატერინე ქარდავას მიერ არ არის წარმოდგენილი სილაბუსი. ასევე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილია ტიტე ლევსაიას სილაბუსები („იურიდიული ტექნიკა“, „მტკიცებულებითი სამართალი“, „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი“), თუმცა, იგი არ არის მითითებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში, იგი ასევე არ არის მოწვეულ პერსონალთა სიაში. დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა მისი პირადი საქმე და ვერც რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მისი დაწესებულებასთან ასოცირების ფაქტს.

**ზეპირ მოსმენაზე**, დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ ეკატერინე ქარდავას მიერ არ არის წარმოდგენილი სილაბუსი. ის იმყოფება გერმანიაში. ამ საგნის წასაკითხათ მოწვეულია ტიტე ლევსაია. ჩვენ წარმოვადგინეთ იმ ლექტორის სილაბუსი, რომელიც ამ ეტაპზე კითხულობს სასწავლო კურსს.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ თუ დაწესებულებას არჩეული ჰყავს ლექტორი და მას არ აქვს წარდგენილი სილაბუსი, ეს არ შეიძლება იყოს ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დავით მახვილამეს და სთხოვა განემარტა, თუ რატომ მიიჩნია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული საკითხი დაწესებულების ხარვეზად.

დავით მახვილამის განმარტებით, დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები. საგანმანათლებლო პროგრამის გრაფაში მითითებულია პირი, რომელსაც არ აქვს წარდგენილი სილაბუსი.

ამასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ არის სტატიკური, იცვლება პროგრამა, იცვლება სილაბუსები, თემატიკა, ლექტორები. ეს არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ყოველსემესტერულად შეიძლება იცვლებოდეს.

დავით მახვილამის მოსაზრებით, ეს ცვლილებები ასახული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამაში.

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევად.

დავით მახვილამის განმარტებით, არ არსებობს ტიტე ლეფსაიასთან გაფორმებული ხელშეკრულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტიტე ლეფსაიასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და ის არის დაწესებულების თანამშრომელი. შესაბამისად, ექსპერტთა შენიშვნა უსაფუძვლოა.

დავით მახვილამემ საბჭოს სხდომაზე, მტკიცებულების სახით, წარმოადგინა დაწესებულების წერილი ავტორიზაციის ექსპერტებისადმი, რომელშიც მითითებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელობითი სია. აღნიშნულ სიაში არ ფიგურირებს ტიტე ლეფსაია. ასევე, საბჭოს სხდომაზე ვერ იქნა დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მისი დაწესებულებასთან ასოცირების ფაქტს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ტიტე ლეფსაია გამორჩენილია პერსონალის სიაში.

1.1.18 მედიცინის ისტორიის სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგი ზოგადი სახით არის წარმოდგენილი, კერძოდ, "სტუდენტი გააცნობიერებს ისტორიული ანალიზებს, წარსულის დადებით და უარყოფით მხარეებს და იხელმძღვანელებს შეგონებით" ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა" და "აწმყო შობილი წარსულისგან არის მშობელი მომავლისა".

**ზეპირ მოსმენაზე**, ექსპერტებმა წარმოადგინეს აღნიშნული სილაბუსი, რომლითაც დადასტურდა რომ სწავლის შედეგში დაფიქსირებულია მხოლოდ ის, რაც აღნიშნულია ექსპერტთა დასკვნაში.

დაინტერესებულმა მხარემ წარმოადგინა ლექტორის წერილი, რომელშიც განმარტებულია მის მიერ სილაბუსში აღნიშნული სწავლის შედეგის მნიშვნელობა.

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სწავლის შედეგად.

1.1.19 დასკვნის მიხედვით, თამაზ ყურაშვილის მიერ წარმოდგენილია ინფექციური სნეულებანის სასწავლო კურსის სილაბუსი (მე-8, მე -9 სემესტრი). თუმცა, პედაგოგი არ არის მითითებული საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური რესურსის სიაში. ასევე არ არის მოწვეულ პერსონალთა სიაში, დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა მისი პირადი საქმე და ვერც რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მისი დაწესებულებასთან ასოცირების ფაქტს. ანალოგიურად არის წარმოდგენილი ფხალაძე ნელისა და ავალიშვილი ლამარას სილაბუსები.

1.1.20 დასკვნის მიხედვით, სოსიაშ ვილი მანანა არის სამკურნალო საქმის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. აღსანიშნავია, რომ პედაგოგი არ არის საგანმანათლებლო პროცესში ჩართული. კერძოდ, იგი არც საგანმანათლებლო პროგრამაშია შეტანილი და მისი ავტორობით არ არის წარმოდგენილი სილაბუსი.

1.1.21 დასკვნის მიხედვით, დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პუნქტს „საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარები“, რომელშიც მითითებულია:

- „იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა“;

თუმცა, პროგრამის „სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა“ არ მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსს. არც პროგრამაში შემავალი კურსების სწავლის შედეგებში არის გაწერილი ინფორმაციული უნარები. შესაძლებელია სტუდენტი დოქტორანტურის პროგრამისგან დამოუკიდებლად ფლობდეს ინფორმაციულ სისტემებს, მაგრამ ექსპერტის მოსაზრებით, ცალსახაა, რომ შეუძლებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევა.

ზეპირ მოსმენაზე, საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, როგორ აღწევს დაწესებულება პროგრამით გათვალისწინებულ შედეგს, თუ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლება არ არის გათვალისწინებული პროგრამით.

დაინტერესებულმა მხარემ განმარტა, რომ აღნიშნული ეხება სადოქტორო პროგრამას. დოქტორანტს კი ზემოხსენებული სწავლის შედეგები მიღწეული აქვს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ არ გაიზიარა დაინტერესებული მხარის პოზიცია და განმარტა, რომ თუ სასწავლო კურსი ისწავლება დაბალ საფეხურზე (ბაკალავრიატში ან მაგისტრატურაში), სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება იყოს უფრო მაღალი საფეხურის (დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ თუ პროგრამაში განსაზღვრულია კონკრეტული სწავლის შედეგი, უნდა არსებობდეს მისი მიღწევის შესაძლებლობა. ამდენად, ერთ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული სწავლის შედეგი უნდა მიიღწეოდეს ამავე საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სწავლების შედეგად.

1.1.22 საერთაშორისო სისხლის სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსში არ არის მითითებული კურსის ავტორის ვინაობა და შესაბამისად ვერ დგინდება პედაგოგის კვალიფიკაციის შესაბამისობა.

1.1.23 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა მოიცავს ინგლისური ენის სტილისტიკის სასწავლო კურსს.

აღსანიშნავია, რომ ეს კურსი შედის უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშიც. სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შევამალი ინგლისური ენის სტილისტიკის სასწავლო კურსების სილაბუსების შედარების დროს, ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ ბაკალავრიატის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი სასწავლო კურსის სილაბუსები ნაწილობრივ იდენტურია, კერძოდ:

- ბაკალავრიატის სილაბუსით გათვალისწინებული 15 თემა არის დოქტორანტურის სილაბუსით გათვალისწინებული თემების იდენტური. განსხვავებულია მხოლოდ 4 თემა (9, 10, 11, 15);
- დოქტორანტურის საფეხურზე სილაბუსში მითითებულია მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო (ჯ. ახმანოვა - ლინგვისტიკისტიკა, თეორია და მეთოდი, მსუ, 1972 წ.), მაშინ როდესაც ბაკალავრიატის საფეხურზე ლიტერატურა უფრო ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი, კერძოდ, მითითებულია

ზემოთ აღნიშნული სახელმძღვანელოც და 3 სხვა წიგნიც (რ. გალპერილის, ი. პეტროვას და რ. ჯეკობსონის ავტორობით სახელმძღვანელოები);

- სწავლის შედეგები საბაკალავრო და სადოქტორო საფეხურების სილაბუსებში იდენტურია, კერძოდ:

ა) საბაკალავრო პროგრამის სილაბუსის მიხედვით სწავლის შედეგი არის - "აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი მიიღებს თეორიულ ცოდნას, რომელიც აუცილებელია მხატვრული ტექსტის სტილისტური ანალიზისათვის";

ბ) სადოქტორო პროგრამის სილაბუსის მიხედვით სწავლის შედეგი არის - „დოქტორანტს ექნება საბაზისო ცოდნა, რომელიც აუცილებელია მხატვრული ტექსტის სტილისტური ანალიზისათვის“.

ექსპერტების აზრით, განსხვავდება მხოლოდ ის არის, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტს მიიღებს "თეორიულ ცოდნას", ხოლო დოქტორანტურის საფეხურზე - "საბაზისო ცოდნას".

**ზეპირ მოსმენაზე,** ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე არ დაეთანხმა ექსპერტთა შენიშვნას და აღნიშნა, რომ სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე საგნის შესწავლა ხორციელდება სხვადასხვა სიღრმით.

1.1.24 ექსპერტთა დასკვნის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამართალმცოდნეობა</li> <li>2. საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე</li> <li>3. ჟურნალისტიკა</li> <li>4. ინგლისური ენა და ლიტერატურა</li> <li>5. ფარმაცია</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამართლის ბაკალავრი</li> <li>2. ბიზნესის მართვის ბაკალავრი</li> <li>3. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი</li> <li>4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი</li> <li>5. მედიცინის ბაკალავრი</li> </ol>



მაგისტრატურა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სისხლის სამართალი</li> <li>2. სამოქალაქო სამართალი</li> <li>3. საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე</li> <li>4. ინგლისური ენა და ლიტერატურა</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სისხლის სამართლის მაგისტრი</li> <li>2. სამოქალაქო სამართლის მაგისტრი</li> <li>3. ბიზნესის მართვის</li> <li>4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი</li> </ol> <p>ინგლისური ენისა და ლიტერატურაში</p>
დოქტორანტურა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სისხლის სამართალი</li> <li>2. კერძო სამართალი</li> <li>3. ფინანსები და საბანკო საქმე</li> <li>4. ინგლისური ენა და ლიტერატურა</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სისხლის სამართლის დოქტორი</li> <li>2. კერძო სამართლის დოქტორი</li> <li>3. ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი</li> <li>4. ინგლისური ენისა და ლიტერატურის დოქტორი</li> </ol>
ერთსაფეხურიანი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამკურნალო საქმე</li> <li>2. სტომატოლოგია</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დიპლომირებული მედიკოსი</li> <li>2. დიპლომირებული სტომატოლოგი</li> </ol>

1.1.25 უნივერსიტეტი მილევად რეჟიმში ახორციელებს პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებს:

1. საბანკო საქმე - საბანკო საქმის დიპლომირებული სპეციალისტი;
2. ფარმაცევტის თანაშემწე - ფარმაცევტის თანაშემწის დიპლომირებული სპეციალისტი.

## 1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება:

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს. საბჭოს შეფასება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები:

ა.ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურისათვის გათვალისწინებულ საკანონმდებლო მოთხოვნას. კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბაკალავრიატი არის „აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის“. ზემოაღნიშნული მუხლის „წ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის“. ხოლო ხსენებული მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დოქტორანტურა არის „აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით“.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის საბაკალავრო პროგრამაში მითითებულია, რომ „პროგრამა ითვალისწინებს თეორიული საფუძვლების შესწავლას, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევით ელემენტებს, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაციას, კონსერვაციას და ტრანსფორმაციას.“

ეს ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ”ნ“ ქვეპუნქტს.

ავტორიზაციის საბჭო ამასთანავე აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ჩანაწერი „უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებულ, რეგულირებადი პროფესიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს“ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3<sup>3</sup>“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა არის „პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით“. კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებია: ა) იურიდიული; ბ) სამედიცინო (მათ შორის, სავეტერინარო მედიცინის); გ) პედაგოგიური. ამდენად, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის საბაკალავრო პროგრამა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამად

ა.ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დოქტორანტურა არის „აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად

ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით”.

ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოქტორანტურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მოიცავს პუნქტს „საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარები“, რომელშიც მითითებულია:

- „იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა“;

თუმცა, პროგრამის „სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა“ არ მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსს. არც პროგრამაში შემავალი კურსების სწავლის შედეგებში არის გაწერილი ინფორმაციული უნარები.

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ თუ პროგრამაში განსაზღვრულია კონკრეტული სწავლის შედეგი, უნდა არსებობდეს მისი მიღწევის შესაძლებლობა. ამდენად, ერთ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული სწავლის შედეგი უნდა მიიღწეოდეს ამავე საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სწავლების შედეგად. შესაბამისად, ცალსახაა, რომ შეუძლებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს.

ბ) სასწავლო კურსების სილაბუსები:

ბ.ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)“.

სილაბუსი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „<sup>23</sup>“ -ე ქვეპუნქტის თანახმად, არის „დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.). სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი)“.

ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულების ზოგიერთი სასწავლო კურსის ხანგრძლივობა აღემატება ერთ სემესტრს. კერძოდ:

- „ქირურგიული სტომატოლოგია“ ისწავლება IV-X სემესტრში. კურსი მოიცავს 29 კრედიტს;
- „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი“ ისწავლება I-VII სემესტრში. კურსი მოიცავს 65 კრედიტს;
- „უცხო ენა (ინგლისური ენა)“ ისწავლება I-IV სემესტრში. კურსი მოიცავს 17 კრედიტს;
- „ფარმაცევტული ქიმია“ ისწავლება V-VIII სემესტრში. კურსი მოიცავს 16 კრედიტს.

ამდენად, ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულება არღვევს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

ბ.ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სილაბუსები.

სილაბუსი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „<sup>23</sup>“ -ე ქვეპუნქტის თანახმად, არის „დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ“.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სილაბუსის შინაარსი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ლიტერატურის შესახებ, რომლის გამოყენებითაც სტუდენტი შეძლებს სწავლის შედეგის მიღწევას. აღსანიშნავია, რომ სილაბუსში ლიტერატურის მითითების აუცილებლობა გამომდინარეობს აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „თ“ ქვეპუნქტიდან, რომლის მიხედვითაც დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი უნდა შეესაბამებოდეს

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ლიტერატურა არ არის მითითებული, მაგალითად, მედია სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსში.

ბ.გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სილაბუსები.

სილაბუსი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3<sup>23</sup>“ -ე ქვეპუნქტის თანახმად, არის „დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ“.

ამდენად, სასწავლო კურსის სილაბუსში უნდა იყოს მითითებული სწავლის შედეგები.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების სასჯელადსრულებითი სამართლის სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგის გრაფაში დაფიქსირებულია შემდეგი: „კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნება და სტრუქტურა, კრიმინალური ფოტოგრაფიის საშუალებები და ხერხები, მისი გამოყენება დამნაშავეს ძებნისას, ტრასოლოგია და მისი გამოყენება დანაშაულის გახსნისა და გამოძიების პროცესში, დაქტილოსკოპია და მისი დანიშნულება“.

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ თუ სილაბუსში მითითებულია აშკარად შეუსაბამო სწავლის შედეგი, დამკვიდრებული ადმინისტრაციული პრაქტიკიდან გამომდინარე, მიჩნეულ უნდა იქნას, რომ სასწავლო კურსს არ აქვს სწავლის შედეგი.

ბ.დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სილაბუსები.

სილაბუსი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3<sup>23</sup>“ -ე ქვეპუნქტის თანახმად, არის „დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების,

სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ”.

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ დაუშვებელია ავტორიზაციის მამიებელ დაწესებულებას უმაღლესი განათლების ერთი კონკრეტული საფეხურის ფარგლებში, მაგალითად, ბაკალავრიატში, ჰქონდეს 2 მსგავსი სასწავლო კურსი, რომელთა სილაბუსებიც იდენტურია. ავტორიზაციის საბჭო დასაშვებად მიიჩნევს 2 მსგავსი სასწავლო კურსის სწავლებას უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის ფარგლებში, მაგალითად ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში. ამ შემთხვევაში მაგისტრატურის საფეხურზე სწავლება უნდა ხორციელდებოდეს სიღრმისეულად. თუმცა, ავტორიზაციის მამიებელ დაწესებულებას აქვს 2 სხვადასხვა სასწავლო კურსის („შედარებითი სისხლის სამართალი“ და „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი“) იდენტური სილაბუსები, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის უხეში დარღვევაა.

ბ.ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სილაბუსები.

სილაბუსი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „<sup>23</sup>3“-ე ქვეპუნქტის თანახმად, არის „დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ”.

ამდენად, სასწავლო კურსის სილაბუსში უნდა იყოს მითითებული სწავლის შედეგები.

ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების მედიცინის ისტორიის სასწავლო კურსის სილაბუსის სწავლის შედეგად განსაზღვრულია: ”სტუდენტი გააცნობიერებს ისტორიული ანალიზებს, წარსულის დადებით და უარყოფით მხარეებს და იხელმძღვანელებს შეგონებით ”ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა” და ”აწმყო შობილი წარსულისგან არის მშობელი მომავლისა”. ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ თუ სილაბუსში მითითებულია აშკარად შეუსაბამო სწავლის შედეგი, დამკვიდრებული ადმინისტრაციული პრაქტიკიდან გამომდინარე, მიჩნეულ უნდა იქნას, რომ სასწავლო კურსს არ აქვს სწავლის შედეგი.

## 2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ“.

## **2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ.

## **2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს“.

## **3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი (ცოდნა, პრაქტიკული უნარები) და ზოგადი კომპეტენციებით (დასკვნის უნარი, სწავლის უნარი, კომუნიკაციის უნარი), პროგრამებში (სამივე დონეზე) არ არის მოცემული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს პროექტის კვალიფიკაციათა აღმწერის „ღირებულებების“ კრიტერიუმი.

პროგრამებში აღწერილი სწავლის შედეგები (დარგობრივი ცოდნა (ცოდნა, პრაქტიკული უნარები), ზოგადი უნარები (დასკვნის უნარი, სწავლის უნარი, კომუნიკაციის უნარი)) შეესაბამება კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს.

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის არც ერთი სადოქტორო პროგრამა არ მოიცავს უცხო ენის კურსს, გარდა ინგლისური ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამისა. ყველა სადოქტორო



პროგრამაში მითითებულია, რომ თბილისის უნივერსიტეტი "მეტეხის" სადოქტორო პროგრამა შეესაბამება კანონმდებლობას და პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. კვალიფიკაციის ჩარჩოს „კვალიფიკაციათა აღმწერის“ კომუნიკაციის უნარის გასწვრივ მოცემულია: „ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე“. კვალიფიკაციის ჩარჩოს „კვალიფიკაციის აღმწერის“ ამ ნაწილში უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამები შეუსაბამოა, რადგან პროგრამებში „პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში“ მოცემულია სასურველია „ფლობდეს ერთ-ერთ უცხოურ ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონეზე“.

**ზეპირ მოსმენაზე**, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე განმარტა, რომ ზემოაღნიშნული არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის ხარვეზად, ვინაიდან პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში აშკარადაა გათვალისწინებული უცხო ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ მინიშნება, რაც თავისთავად შესაძლებელს ხდის საერთაშორისო საზოგადოებასთან მეცნიერულ პოლემიკაში ჩართულობის უნარის განვითარებას.

### **3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები“.

### **4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტს თითოეულ საგანმანათლებლო საფეხურზე შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების წესები.

### **4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას“.

### **5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის რექტორის 2010 წლის 01 ნოემბრის №რ-14 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა, ხოლო „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, უზრუნველყოფის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სასწავლო სემესტრის დაწყებისთანავე სტუდენტების ინფორმირებულობას ასარჩევი საგნების შესახებ, რისთვისაც სტუდენტებს აწვდის მათთვის სასურველი ფორმით ასარჩევი საგნების შესახებ ანოტაციებს.

### **5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი“.

### **6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის რექტორის 2010 წლის 01 ნოემბრის №რ-14 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 56-ე, 57-ე მუხლები აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა და გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესებს. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „კავკასიის უნივერსიტეტთან“ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტის სტუდენტების ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამით უზრუნველყოფის შესახებ.

## **6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ“.

### **7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, შპს თბილისის უნივერსიტეტი „მეტეხის“ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ.

## **7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად“.

### **8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ მესხიშვილმა წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შემუშავებულია 2010 წელს, გეგმაში აღნიშნულია უნივერსიტეტის ხარისხის შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები.

უნივერსიტეტის რექტორის 2010 წლის 01 ნოემბრის №რ-14 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის დებულების 53-55-ე მუხლები აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას.

## **8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

### **III. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - მატერიალური რესურსი**

#### **1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს, მათ შორის:

ა.ა) ერთ მისამართზე 700 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ა.ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები”.

#### **1.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, შპს „თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხს“ საქართველოს უსინათლოთა კავშირის გამგეობისგან და შპს „დოლაბაურისაგან“, ქ. თბილისში ბოჭორმის ქუჩის №23-ში, იჯარით აღებული აქვს 1421 კვ.მ. ფართი.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის საკუთრებაში არსებული 886 კვ.მ. ფართიდან უნივერსიტეტს იჯარით გადაეცა 565კვ.მ. ფართი 2010 წლის 01 მაისიდან 2017 წლის 01მაისამდე.

შპს „დოლაბაური“-ს საკუთრებაში არსებული 1603 კვ.მ. ფართიდან, იჯარით, უნივერსიტეტს გადაეცა 836 კვ.მ. 2010 წლის 01 ივლისიდან 2017 წლის 01 ივლისამდე.

აღსანიშნავია, რომ მიღება-ჩაბარების აქტში და ხელშეკრულებაში არ ჩანს, კონკრეტულად რომელი ფართი გადასცა დასახელებულმა დაწესებულებებმა იჯარით უნივერსიტეტს. გარდა ამისა 2010 წლის 18 ნოემბრიდან არნიშნული ფართი დატვირთულია იპოთეკით და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 ნოემბრის №2/11987-10(15079) სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე საქართველოს უსინათლოთა კავშირს და შპს „დოლაბაურს“

აეკრძალათ „მათზე საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქონების გასხვისება და მე-3 პირთა სასარგებლოდ უფლებრივად დატვირთვა.

უნივერსიტეტს, ქ. ბორჯომში გამსახურდიას ქ. №17-ში, შპს „სანატორიუმი ბორჯომი-ბაღის“, რომლის 100% წილსაც სახელმწიფო ფლობს, კუთვნილი სამი კორპუსიდან, ხელშეკრულების მიხედვით, იჯარით აღებული აქვს 1000 კვ.მ. ფართი. დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი (მიღება-ჩაბარები აქტი; შეთანხმება და.ა.), რომლითაც დადასტურდებოდა შპს-ს მფლობელობაში არსებული დაახლოებით 5000 კვ.მ.-დან რომელ 1000 კვ.მ. ფართზეა საუბარი ხელშეკრულებაში. უნივერსიტეტის წარმომადგენლის მიერ შენობის ტექნიკურ ნახაზზე მითითებული ოთახების საერთო ჯამი გამოდის 1112,84 კვ.მ, რაც შეუსაბამობაშია ხელშეკრულებასთან.

უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების შესწავლა ექსპერტების მიერ მოხდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი ამ შენობების ტექნიკური ნახაზების მიხედვით.

შენობების ვიზუალური დათვალიერების შემდეგ ექსპერტების მიერ საერთოდ არ იყო ჩათვლილი: ქ. თბილისში ბოჭორმის ქ. №23-ში მდებარე შენობიდან 121.83 კვ.მ. ფართი და ქ. ბორჯომში გამსახურდიას ქ. №17-ში მდებარე შენობებიდან 721.05 კვ.მ. ფართი, იმიტომ, რომ ამ ფართებში გაერთიანებული ოთახები სასწავლო პროცესში მონაწილეობას არ იღებენ. მაგალითად, ბორჯომში შპს „სანატორიუმ ბორჯომ-ბაღის“-გან მე-2 კორპუსში მე-2 სართულზე აღებულ 494 კვ.მ. ფართში განთავსებულია შპს „სანატორიუმ ბორჯომ-ბაღის“ სასტუმრო. პირველი კორპუსის მეორე სართულზე მდებარე „ფიზეო კაბინეტი“ ექსპერტებს აჭედილი დახვდათ და იქ სტუდენტების ყოფნის კვალიც კი არ ჩანდა. ნაწილი ოთახებისა გასარემონტებელია, ცარიელია და ა.შ. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განგვიმარტა, რომ ეს ოთახები არ სჭირდებათ სასწავლო პროცესისათვის.

შპს „თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხს“ ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად სხვადასხვა დაწესებულებებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და მემორანდუმები. ესენია: სს „ი. ფაღვას სახელობის პედიატრიის ს/კ ინსტიტუტი“ (ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 15 მაისამდე); სპს „ვ. პ. დენტალი“ (ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 15 მაისამდე); შპს სტომატოლოგიური კლინიკა „ლიდერ-დენტი“ (მემორანდუმი ძალაშია 2013 წლის 25 მაისამდე); შპს „ზოგადი თერაპიის კლინიკა“ (მემორანდუმი ძალაშია 2013 წლის 15 აპრილამდე); შპს „სტომატოლოგია-2000“ მემორანდუმი ძალაშია 2011 წლის 15 აპრილამდე); სს „გიორგი ნათიძის სახელობის სანიტარიის და ჰიგიენის კვლევითი ინსტიტუტი“ (მემორანდუმი ძალაშია 2013 წლის 15 მაისამდე); საადვოკატო ბიურო „ჯორჯიან ლეგალ სერვის კომპანია“ (მემორანდუმი ძალაშია 2011

წლის 01 აპრილამდე); სს „თბილისის №4 პურის ქარხანა“ (მემორანდუმი ძალაშია 2011 წლის 19 აპრილამდე); სს „საქორგაზი“ (მემორანდუმი ძალაშია 2011 წლის 19 აპრილამდე); შპს სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“ (მემორანდუმი ძალაშია 2011 წლის 28 აპრილამდე); ქ.თბილისის „იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი“ (ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 23 მაისამდე); სსიპ „ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი“ (მემორანდუმი ძალაშია 2013 წლის 19 აპრილამდე); სს „ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი“ (მემორანდუმი ძალაშია 2013 წლის 03 მაისამდე); შპს 'ფორმა'(მემორანდუმი ძალაშია 2011 წლის 28 აპრილამდე); საქართველოს ძილის მედიცინის და კლინიკური ელექტროფიზიოლოგიის ასოციაცია (მემორანდუმი ძალაშია 2013 წლის 11 მაისამდე); შპს გაზეთი „იბერია“(მემორანდუმი ძალაშია 2011 წლის 12 მაისამდე).

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობები არაა საკმარისი უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისთვის და განსახორციელებელი საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამებისთვის.

ექსპერტთა დასკვნაში დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მოცემულია შემდეგი სახით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №23	1421
2	ქ. ბორჯომი, გამსახურდიას ქ. №17	1000

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მოცემულია შემდეგი სახით:

№	მისამართი	კვ.მ.

1	ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №23	536.79
2	ქ. ბორჯომი, გამსახურდიას ქ. №17	225.24

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მოცემულია შემდეგი სახით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №23	663.16
2	ქ. ბორჯომი, გამსახურდიას ქ. №17	202.2

სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერების არსებობის შესახებ. კერძოდ, შპს „თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერების დროს, ექსპერტების მიერ სასწავლო ფართად ჩათვლილი ოთახები აღჭურვილი იყო მერხებით, სკამებით და დაფებით. თბილისში მდებარე შენობის ორ ოთახში არ იყო დაფა. ბორჯომში მდებარე შენობის ორ ოთახში არაა დაფა და ყველა ოთახში ინვენტარი განსაახლებელია.

უნივერსიტეტის საკუთრებაშია: დოკუმენტალურად 75 კომპიუტერი, დათვალიერების დროს ადგილზე იყო 57 კომპიუტერი. მათგან 5 არ მუშაობს და 7 არის ბორჯომში. 45 კომპიუტერი, რომელიც თბილისშია უზრუნველყოფილია შესაბამისი პროგრამებით და 24 ჩართულია ინტერნეტში. ასევეა პოგრამულად უზრუნველყოფილი ბორჯომში არსებული 7 კომპიუტერი, მათგან ერთი ჩართულია ინტერნეტში, მაგრამ ამ კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლები შედარებით დაბალია.

უნივერსიტეტში დოკუმენტალურად ასევე არის: 3 მულტივიდეო პროექტორი; 3 პრინტერი; 4 ქსეროქსი (კომბაინი ქსეროქსი; პრინტერი; სკანერი); ერთი DVD. გადამოწმებისას ადგილზე იყო: 3 მულტივიდეო პროექტორი; ერთი პრინტერი; 4 ქსეროქსი (კომბაინი ქსეროქსი; პრინტერი; სკანერი); ერთი DVD.

ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის მისიის მისაღწევად არაა საკმარის ის ინვენტარი რომელიც უნივერსიტეტის საკუთრებაშია.

**ზეპირ მოსმენაზე,** ექსპერტის, დავით ჭეიშვილის მოხსენების, ასევე დაწესებულების წარმომადგენლების განმარტების გათვალისწინებით, ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ როგორც უძრავი ქონების, ისე სხვა მატერიალური ბაზის ფლობის პრობლემა ავტორიზაციის მიზნებისათვის დაწესებულების წინაშე არ დგას.

## **1.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას“.

### **2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტში 2010 წლის 01 ნოემბერს რექტორის №რ-14 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ დებულება, რომელშიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულები, მათი ფუნქციები, რომლითაც შესაძლებელია დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება.

### **2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის



აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები”.

### **3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

შპს „უნივერსიტეტ „მეტეხის“ მიერ ქ.თბილისში იჯარით აღებულ ფართში არის ელექტრო ენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, შენობა თბება ელექტრო საშუალებებით ე.წ. „ზამთარ-ზაფლის“ სისტემებით, თუმცა 4 აუდიტორია არ თბება. შენობაში 2 აუდიტორიაში არაა ბუნებრივი განათება, ხოლო 4 აუდიტორიაში კი ცუდი ბუნებრივი განათებაა. აუდიტორიების ნაწილი ერთმანეთში გამავალია და არ აქვთ დამოუკიდებელი შესასვლელი. სველი წერტილები კარგ მდგომარეობაშია.

ქ. ბორჯომში გამსახურდიას ქ. №17-ში მდებარე შენობებიდან იჯარით აღებული ფართიდან პირველი კორპუსის პირველ სართულზე მდებარე 6 ოთახიდან 4 არ თბება. მეორე სართულზე მდებარე 15 ოთახიდან 7 არ თბება, დანარჩენი ოთახები თბება გაზის და ელექტრო გამათბობლებით. არის ელექტროენერჯის მიწოდების სისტემა. ხუთ აუდიტორიაში არის ცუდი ბუნებრივი განათება. სველი წერტილების მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია.

**ზეპირ მოსმენაზე**, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ყველა აუდიტორია, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, უზრუნველყოფილია გათბობის საშუალებებით.

### **3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „დ”

ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.”

#### **4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის მფლობელობაში ქ. თბილისში არსებულ შენობაში მე-2 სართულზე არის განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ორთავე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. შენობაში არის სამედიცინო კაბინეტი. წესრიგის დაცვის თვალსაზრისით შენობაში განთავსებულია ვიდეო კამერები და შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია მეტალოდეტექტორი.

ქ. ბორჯომში, იჯარით აღებულ ფართში, სტანდარტის აღნიშნული მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება.

#### **4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ ექსპერტთა დასკვნა ამ ნაწილში არ არის დასაბუთებული. მეტალოდეტექტორის ქ. ბორჯომში განთავსებულ ფართში არ არსებობა არ წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნის შეუსრულებლობას. შესაბამისად, დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

### **5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის”.

#### **5.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, ქ. თბილისში მდებარე შენობაში არის მოწყობილი სამი პანდუსი, მაგრამ ამ პანდუსების საშუალებით სტუდენტს შეუძლია მხოლოდ შენობაში შესვლა და შესასვლელიდან მარცხნივ მდებარე აუდიტორიებში შესვლა. მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ტუალეტში, საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტში და ა.შ. შესვლა. ვერც მეორე სართულზე ავლენ.

ქ. ბორჯომში მდებარე შენობაში სტანდარტის აღნიშნული მოთხოვნა საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

**ზეპირ მოსმენაზე**, დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ფოტომასალა. დადასტურდა, რომ არსებობს საშუალებები (პანდუსები), რომლითაც შესაძლებელია შენობაში ეტლით გადაადგილება.

## **5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **6. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მატერიალური რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის“.

### **6.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტში არსებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის.

ქ. თბილისში არსებულ შენობაში განთავსებული 45 კომპიუტერიდან 30 კომპიუტერი (11 ბიბლიოთეკაში და 19 საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტში) ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის. ამ კომპიუტერებისგან ინტერნეტში ჩართულია 23 (11 ბიბლიოთეკაში და 12 საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტში).

ქ. ბორჯომში მდებარე შენობაში 7 კომპიუტერიდან ყველა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის, მათგან ინტერნეტში შართულია მხოლოდ ერთი (ნოუთბუქი).

## **6.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **7. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში“.

### **7.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტს აქვს მის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული მონაცემთა ბაზა - სტუდენტური პორტალი, რომელშიც ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის პირადი და აკადემიური მონაცემები, ინფორმაცია არჩეული სასწავლო დისციპლინების, მიმდინარე შეფასებების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტივობებისა და დაგროვებული კრედიტების შესახებ. აღნიშნული მონაცემთა ბაზის მეშვეობით უზრუნველყოფილია სტუდენტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიღება და აგრეთვე, შესაძლებელია უნივერსიტეტის მიერ კვლევის, ანკეტირების თუ სხვა აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება ბაზაში შემავალი მონაცემების გამოყენებით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა, რომლითაც უნივერსიტეტის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალის მეშვეობით უზრუნველყოფილი არიან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საჭირო ლიტერატურის მრავალი პარამეტრის შესაბამისად მოძიების, დაჯავშნისა, აგრეთვე სასურველ ლიტერატურაზე მოთხოვნის დატოვების შესაძლებლობით.

უნივერსიტეტის მართვის საკითხის ოპტიმიზაციისათვის მოწოდებულია აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.

## **7.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **8. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა“.

### **8.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს 6488 ერთეულს. მათგან 194 ერთეული არის ქ. ბორჯომში. ბიბლიოთეკაში არის, ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო 2 წიგნი, ბიბლიოთეკის დღიური, ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვის წიგნი, მკითხველთა ბარათები, 30 აუდიო-ვიდეო მატარებელი და 15 კასეტა. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობის დადგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურასთან, ჩვენს მიერ შერჩევით აღებული იყო 29 სილაბუსი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან, მათში მითითებული იყო 118 დასახელების სავალდებულო ლიტერატურა, რომლისგანაც ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა 110 ერთეული წიგნი. ამიტომ ექსპერტთა აზრით, დაწესებულების წიგნადი ფონდი არ შეესაბამება სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და შპს თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხს“ შორის 2010 წლის 9 ივნისს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შპს თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომია სსის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული როგორც ქაღალდის მატარებლებზე ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული სრული ფონდი.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასა და შპს თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხს“ შორის 2010 წლის 9 ივნისს N 2010-7/2 დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხს“ ეძლევა უფლება მიიღოს და გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

1. EBSCOHost (<http://searchepnet.com>)
2. Cambridge University Journal (<http://journals.cambridge.org>)
3. Oxford University Journal (<http://oxfordjournals.org>)

უნივერსიტეტს 2010 წლის 01 აგვისტოს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №889-10 პერიოდულ გამოცემათა მიწოდების შესახებ, რომელიც ძალაშია 2011 წლის 01 იანვრამდე.

**ზეპირ მოსმენაზე**, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული წიგნები, რომლის ბეჭდური ვერსიაც არ არსებობს დაწესებულებაში, შესაძლებელია მოიძებნოს იქნეს ელექტრონული ბიბლიოთეკის საშუალებით, ინტრანეტის გამოყენებით.

## **8.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **9. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი“.

### **9.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის: ელექტრო კატალოგი, ანბანური და სისტემური კატალოგი ქაღალდის მატარებლებზე.

დაწესებულების რექტორის 2010 წლის 02 იანვრის №66 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია: 11 ნოუთბუქი, რომლებიც ჩართულია ინტერნეტში; „კომბაინი“-პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი; მულტივიდეო პროექტორი თავისი ეკრანით; 5 მაგიდა და 10 სკამი.

### **9.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **10. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა“.

## **10.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტს აქვს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების დებულება, რომლითაც განისაზღვრება უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში შექმნილი თითოეული სახის აქტის, საგანმანათლებლო დოკუმენტების, კორესპონდენციისა და სხვა დოკუმენტაციის დამუშავების, მიღების, გაგზავნის, შენახვისა და არქივში გადაცემის წესი.

დაწესებულებას აქვს აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმების სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალები; ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი; ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი. აღსანიშნავია, რომ ამ ჟურნალებში ჩანაწერების გაკეთება დაწყებულია 2010 წლის ივნისის თვიდან. წინა თვეების სარეგისტრაციო ჟურნალები არ იყო წარმოდგენილი.

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის საქმის წარმოებაში არის ხარვეზები. კერძოდ: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმებში არის ორი ოქმი, რომლებიც ერთი და იგივე ნომრითაა გაწერილი, ორთავეს აქვს ნომერი 1. ერთი ოქმი დათარიღებულია 2010 წლის 10 თებერვლით, ხოლო მეორე კი 2010 წლის 27 მაისით; ბრძანებების რეგისტრაციის წიგნში 2010 წლის 29 ივნისს დარეგისტრირებულია ბრძანება №1, მაგრამ ამავე ნომრით ამავე წლის 08 იანვარს დარეგისტრირებულია სხვა ბრძანება, რომელიც მსგავს საკითხს ეხება; 2010 წლის 08 იანვარს გამოცემული №1 ბრძანების შინაარსი, რომელიც მოცემულია ბრძანების წიგნში არ ემთხვევა ბრძანების ბეჭდურ ვერსიას.

## **10.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, ვინაიდან იმ შემთხვევაში როცა ერთი და იმავე ნომრით აღრიცხული ბრძანების შინაარსი, თავად ბრძანებაში ერთია, ხოლო სარეგისტრაციო ჟურნალში მეორე, როცა ერთი და იმავე ნომრით ორი სხდომის ოქმი არსებობს დაწესებულებაში, ბუნებრივია დოკუმენტაციის აღრიცხვიანობა სანდო არაა დაინტერესებული პირებისათვის, ისე როგორც ავტორიზაციის საბჭოსათვის. არასანდო საექვო აღრიცხვიანობის პირობებში უნდა მივიჩნიოთ რომ აღრიცხვიანობა მოწესრიგებულ არაა, ანუ არ არსებობს.

## **11. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე

განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი”.

### **11.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის ვებ გვერდის მისამართია [www.metekhiuni.edu.ge](http://www.metekhiuni.edu.ge). ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდი ენა არის ქართული და ინგლისური, მასზე განთავსებულია: დაწესებულების სტრუქტურა; ფაკულტეტების და სპეციალობათა ჩამონათვალი; 62 აკადემიური პერსონალის სია, არადა პირადი საქმეების მიხედვით არის 45; ინფორმაციის საძიებელი; სტუდენტთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, გადაყვანის წესი; ნორმატიული მდოკუმენტები; სასწავლო გეგმა; პროგრამების კატალოგი; ბიუჯეტი; ვიზიტორთა მრიჩხველი.

ვებგვერდზე არაა განთავსებული სტუდენტების სახელობითი სია. ვებ გვერდის ბოლო განახლების თარიღია 2010 წლის 15 დეკემბერი.

### **11.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **12. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, „უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება”.

### **12.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, შპს თბილისის უნივერსიტეტი „მეტეხის“ ბიუჯეტში გათვალისწინებულია დაფინანსება უნივერსიტეტის მიერ განხორციელებადი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნებისათვის.

### **12.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.



### **13. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-10 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

#### **13.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, შპს „თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხის“ წარმომადგენლის მიერ, ექსპერტების თხოვნაზე წარმოედგინათ უნივერსიტეტის გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, წარმოდგენილი იყო 2010 წლის 13 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №4, რომელშიც ერთ-ერთ საკითხად განხილულია უნივერსიტეტის სტრატეგია. საკითხის განხილვა მოიცავს უნივერსიტეტის მიმართულების ხელმძღვანელებისათვის დავალებას წარმოადგინონ წინადადებები უნივერსიტეტის სტრატეგიასთან დაკავშირებით. ასევე წარმოდგენილი იყო „2010-2011 უნივერსიტეტის განვითარების გეგმა“, რომელიც ძირითადად მოიცავს ანალიზს და შეფასებას 2010 წლისას და 2011 წლის გეგმას, მაგრამ დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა, რომელიც შეიცავს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, წარმოდგენილი არ იყო.

#### **13.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **IV. დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტთან - ადამიანური რესურსი**

### **1. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შესაბამეა დაკავებულ თანამდებობას“, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ავტორიზაციის მიზნებისთვის ერთი სრული პროფესორი ეთვლება მხოლოდ

ერთ უნივერსიტეტს, მხოლოდ ორ სასწავლო უნივერსიტეტს, ან მხოლოდ ორ კოლეჯს, ან სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯს, პროფესორის არჩევით; ხოლო ასოცირებული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ორ დაწესებულებას პროფესორის არჩევით. სრული ან ასოცირებული პროფესორის მიერ ორ ან მეტ დაწესებულებაში სრული ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავება მოწმდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად”.

## **1.2 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას ჰყავს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის 37 მოწვეული პერსონალი. ასევე აკადემიური თანამდებობა უკავია 45 პროფესორს.

დაკავებულ თანამდებობასთან კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, გადამოწმდა აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და გამოვლენილ იქნა შემდეგი გარემოებები:

ა) ჟურნალისტიკის მიმართულება

- მარლენ შენგელია, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი - არჩეულია სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. ის არის სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტის უფროსი;
- ჯილდა ასათიანი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი - არჩეულია სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე;
- თამაზ ყანდარელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი - არჩეულია სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. ის არის საზოგადოებასთან ურთიერთობის, კვლევისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი;
- ნათია ამირეჯიბი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი - არჩეულია ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. უძღვება შემდეგ სასწავლო კურსებს: „პუბლიცისტიკა“, „იმიჯოლოგია“, „ინტერვიუ“;
- რევაზ ძნელაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი - არჩეულია ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე;
- ჯაბა სამუშია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი - არჩეულია ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

ჟურნალისტიკის მიმართულებაზე არჩეული 6 აკადემიური პერსონალიდან მხოლოდ ჯილდა ასათიანის, ჯაბა სამუშიას და ნათია ამირეჯიბის ჩართულობა დასტურდება ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამაში. დარჩენილი 3 პროფესორი არ არის არცერთი სილაბუსის ავტორი.

ბ) ანგლისტიკის მიმართულება

- მრეკლიშვილი ნანა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (ქართულ ფილოლოგიაში) - ასოცირებული პროფესორი. ის არ არის ჩართული „ანგლისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამაში. არ არის არცერთი სილაბუსის ავტორი.

დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მათგანი პარალელურ რეჟიმში ფიქსირდება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ პერსონალადაც. კერძოდ: - საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის მიმართულების ასოცირებული პროფესორი ვალერი ქირია დარეგისტრირებულია, როგორც დაწესებულების სრული პროფესორი, აგრეთვე - როგორც სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სტომატოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი ოთარ დარჯანია დარეგისტრირებულია აგრეთვე როგორც სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ასევე, შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე შპს - უნივერსიტეტი „გეომედის“ ასოცირებული პროფესორი.

### **1.3 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ დაინტერესებული მხარე ადასტურებს, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული პირები ასოცირდებიან ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებასთან. დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალი საქმიანობას განახორციელებს შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხში“. ამდენად, დასკვნაში აღნიშნული გარემოებები არ წარმოადგენს ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების ხარვეზს. შესაბამისად, დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **2. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „გ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „უნივერსიტეტში - არა უმეტეს 11 საგანმანათლებლო პროგრამის

განხორციელების შემთხვევაში მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 50 სტუდენტზე, 12-იდან 24 საგანმანათლებლო პროგრამამდე განხორციელების შემთხვევაში - მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 60 სტუდენტზე, 24 და მეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში - მინიმუმ ერთი სრული ან ასოცირებული პროფესორი 70 სტუდენტზე, არანაკლებ 25 სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორისა”.

## 2.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას აკრედიტებულ რეჟიმში ჰყავს 282 სტუდენტი. აქედან 208 ბაკალავრიატის, 9 მაგისტრატურის, 8 დოქტორანტურის, 37 ერთსაფეხურიანისა და 20 პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

დაწესებულებას ლიცენზირებულ რეჟიმში ჰყავს 255 სტუდენტი. აქედან, 202 ბაკალავრიატისა და 53 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 537-ს.

დაწესებულებას ყავს 45 აკადემიური პერსონალი. აქედან, 11 სრული, 32 ასოცირებული და 2 ასისტენტ-პროფესორი.

დაწესებულების სტუდენტების რაოდენობა: 537.

დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა:

აკადემიური პერსონალი	რაოდენობა
სრული პროფესორი	11
ასოცირებული პროფესორი	32
ასისტენტ-პროფესორი	2

დაწესებულების სტუდენტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

საგანმანათლებლო პროგრამა	რაოდენობა
--------------------------	-----------

საბაკალავრო პროგრამა	აკრედიტებულ რეჟიმში: 208 ლიცენზირებულ რეჟიმში: 202 სულ: 410
სამაგისტრო პროგრამა	აკრედიტებულ რეჟიმში: 9
სადოქტორო პროგრამა	აკრედიტებულ რეჟიმში: 8
ერთსაფეხურიანი	აკრედიტებულ რეჟიმში: 37 ლიცენზირებულ რეჟიმში: 53 სულ: 90
პროფესიული უმაღლესი	20 სტუდენტი
სხვა	----

## 2.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

ავტორიზაციის საბჭო აღნიშნავს, რომ დაწესებულებას ამ ნაწილში არ აქვს ხარვეზი.

## 3. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევრების ან მასწავლებლების მიერ“.

### 3.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში არცერთი საგანმანათლებლო პროგრამა არ ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ. ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი.

### 3.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება

დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

#### **4. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად“.

##### **4.1 ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში აკადემიური პერსონალის შერჩევა განხორციელებულია კანონმდებლობის და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით ჩატარებული კონკურსი შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. კერძოდ, დაცულია კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების გამოქვეყნების, საბუთების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები.

გამონაკლისს წარმოადგენს სამართლის მიმართულების სრული პროფესორი ელდარ ახვლედიანი, რომელსაც აკადემიური თანამდებობა აქვს დაკავებული კონკურსის შედეგების გარეშე. კერძოდ, კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად და მან მე-3 ეტაპი ვერ გადალახა. აღნიშნულს ადასტურებს რექტორის 2010 წლის 21 მაისის N34 ბრძანება „თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხში“ 2010 წლის 16 თებერვალს გამოცხადებული აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“.

**ზეპირ მოსმენაზე**, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებულ მხარეს და სთხოვა განმარტება ექსპერტთა დასკვნასთან დაკავშირებით. დაინტერესებულმა მხარემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ჩატარდა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი. კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნა ბ-ნი მერაბ რაფაეა, რომელიც აკრედიტაციის ექსპერტების მიერ არ იქნა ჩათვლილი აკადემიურ პერსონალში. შესაბამისად, დაწესებულებამ იგი ჩაანაცვლა ელდარ ახვლედიანით, ვინაიდან მას სხვა კონკურსანტებთან შედარებით ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ჰქონდა.

##### **4.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

ავტორიზაციის საბჭო განმარტავს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი კონკურსის ჩატარებას ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. შპს - თბილისის უნივერსიტეტი „მეტეხი“ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად, ვინაიდან დაწესებულებას მიღებული ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია. ამასთან,

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ასეთ დაწესებულებებს ავალდებულებს სწავლება განახორციელონ მიღევად რეჟიმში, ხოლო სტუდენტებს ანიჭებს უფლებამოსილებას დაასრულონ სწავლა კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ამდენად, ავტორიზაციის სტანდარტი ასეთი დაწესებულებებისთვის ითვალისწინებს კონკურსის ჩატარების სავალდებულობას. კონკურსის ჩატარების სავალდებულობა არ ვრცელდება მხოლოდ ისეთ დაწესებულებაზე, რომელსაც საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება არ ჰქონდა მინიჭებული და ავტორიზაციის სისტემის დანერგვის შემდეგ დაფუძნდა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით.

ამდენად, დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

## **5. სტანდარტის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევართან და მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

### **5.1 ავტორიზაციის ექსპერტა დასკვნით და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებები**

დასკვნის მიხედვით, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეული პერსონალთან და მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **5.2 ავტორიზაციის საბჭოს შეფასება**

ავტორიზაციის საბჭო არ იზიარებს ექსპერტა დასკვნას და აღნიშნავს, რომ ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტს. ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული შეფასება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

ავტორიზაციის მაძიებელმა დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტებს ტიტე ლეფსაიას ავტორობით წარუდგინა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები:

- ”იურიდიული ტექნიკა“;

- ”მტკიცებულებითი სამართალი“;

- "შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი".

თუმცა, დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტებს ვიზიტის დროს ვერ წარუდგინა ტიტე ლეფსაიას პირადი საქმე და ვერც რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მისი დაწესებულებასთან ასოცირების ფაქტს.

ზეპირ მოსმენაზე არ დაადასტურდა, რომ ტიტე ლეფსაიასთან გაფორმებული ხელშეკრულება არსებობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს. ამასთან, დაწესებულებას ზეპირ მოსმენაზე არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საწინააღმდეგო ფაქტს. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტიტე ლეფსაია გამორჩენილია აკადემიური პერსონალის სიიდან.

ამდენად, დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

V. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის უნივერსიტეტი „მეტეხის“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 7

VI. გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის უნივერსიტეტ „მეტეხს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო



დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” მე-9 მუხლის „ა” ქვეპუნქტთან, მე-10 მუხლის „კ” ქვეპუნქტთან და მე-11 მუხლის „ე” და „ვ” ქვეპუნქტებთან შეუსაბამობის გამო.

თავმჯდომარე  
კახი ყურაშვილი

მდივანი  
ანა კლდიაშვილი